

**საქართველოს კანონი**  
**„ფილანთროპიის, ქველმოქმედებისა და**  
**საზოგადოებრივი პარტნიორობის შესახებ“**

**მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო**

1. ეს კანონი განსაზღვრავს ფილანთროპიის, ქველმოქმედების, ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობისა და საზოგადოებრივი პარტნიორობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს, პრინციპებსა და ფორმებს.

2. ამ კანონის მიხედვით უზრუნველყოფილია ფილანთროპიის, ქველმოქმედების, ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობის თავისუფალი და შეუზღუდავი განხორციელება. ამ კანონით გათვალისწინებული ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების აღიარებისა (სტატუსის მინიჭების) და ანგარიშგების მოთხოვნები ვრცელდება ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელ მხოლოდ იმ სუბიექტებზე, რომელთაც სურს ისარგებლონ ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული სტიმულირების მექანიზმებით.

**მუხლი 2. კანონის მიზნები**

ამ კანონის მიზანია, უზრუნველყოს:

ა) ფილანთროპიისა და ფილანთროპიული საქმიანობის, აგრეთვე ქველმოქმედებისა და საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელების ხელშემწყობი საკანონმდებლო საფუძვლების განსაზღვრა;

ბ) საზოგადოებრივი პარტნიორობის დამკვიდრებისა და მისი განვითარების ხელშემწყობა ფილანთროპიისა და ფილანთროპიული საქმიანობის, ქველმოქმედებისა და საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელების მიზნით;

გ) ფიზიკური პირების, კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების წახალისების პირობების განსაზღვრა ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელებისა და საზოგადოებრივი პარტნიორობისათვის;

დ) ფიზიკური პირების, კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების სოციალური პასუხისმგებლობისა და საზოგადოებრივ პარტნიორობაში მათი ჩართულობის გაძლიერება;

ე) სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლიანი და ყველასათვის ხელმისაწვდომი სოციალური გარემოს ჩამოყალიბების ხელშემწყობა;

ვ) საზოგადოების კონსოლიდაციისა და საზოგადოებრივ პროცესებში მისი ყველა წევრის ჩართულობის ხელშეწყობა.

**მუხლი 3. ფილანთროპიის, ქველმოქმედების, ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობისა და საზოგადოებრივი პარტნიორობის განხორციელების ძირითადი პრინციპები**

ფილანთროპიის, ქველმოქმედების, ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობისა და საზოგადოებრივი პარტნიორობის განხორციელება ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- ა) საქმიანობის თავისუფლებასა და ნებაყოფლობითობას;
- ბ) ურთიერთდახმარებას;
- გ) ურთიერთთანამშრომლობას;
- დ) უანგარობას;
- ე) თვითინიციატივობას;
- ვ) საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულებას;
- ზ) ადამიანის უფლებების, თავისუფლებების და ღირსების აღიარებას, პატივისცემას და დაცვას;
- თ) მშვიდობის, დემოკრატიის პრინციპებისა და ფასეულობების დაცვას.

#### **მუხლი 4. ტერმინთა და ცნებათა განმარტება**

1. ამ კანონში გამოყენებულ ცნებებსა და ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ფილანთროპია** - იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ ფინანსური ან სხვა სახის რესურსის ნებაყოფლობითი გაცემა, აგრეთვე მოხალისეობა და მეცენატობა ფილანთროპიული საქმიანობის მხარდასაჭერად.

ბ) **ფილანთროპიული საქმიანობა** - სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნეს ორგანიზაციების საქმიანობა მიმართული სოციალური სამართლიანობის, მშვიდობის, უსაფრთხოების, საზოგადოების კეთილდღეობისა და დემოკრატიული განვითარებისაკენ.

გ) **ქველმოქმედება** - ადამიანის თუ ადამიანთა ჯგუფის კონკრეტული საჭიროებისთვის გაღებული ფინანსური ან მატერიალური დახმარება, აგრეთვე მოხალისეობა და მეცენატობა საქველმოქმედო მიზნით.

დ) **საქველმოქმედი საქმიანობა** - სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნეს ორგანიზაციების საქმიანობა მიმართული ადამიანის თუ ადამიანთა ჯგუფისთვის კონკრეტული ჰუმანიტარული ან/და გადაუდებელი დახმარების აღმოსაჩენად.

ე) **სოციალური სამართლიანობა** - ყოველი ადამიანისთვის უზრუნველყოფილი და თანასწორი ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სხვა სახის უფლებები, თავისუფლებები და შესაძლებლობები.

**ვ) საზოგადოებრივი პარტნიორობა** - ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პრინციპების საფუძველზე, ამავე კანონით განსაზღვრული სუბიექტების (სახელმწიფო/ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ბიზნეს ორგანიზაციის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის) ორმხრივი ან/და მრავალმხრივი ნებაყოფილებითი თანამშრომლობა და ურთიერთქმედება ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობის ხელშესაწყობად.

**ზ) სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია** - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან/და მისი ფილიალი, შემოქმედებითი კავშირი, საქართველოში კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული უცხო ქვეყნის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ან/და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლობა (ფილიალი), აგრეთვე არარეგისტრირებული კავშირები (მათ შორის არარეგისტრირებული სათემო ჯგუფები, ამხანაგობები, საინიციატივო ჯგუფები და სხვ.)

**თ) კორპორაციული ფილანთროპია** - ბიზნეს ორგანიზაციის მიერ უშუალოდ, ან მის მიერ საამისოდ დაფუძნებული ფონდის საშუალებით, ფილანთროპიული საქმიანობის ხელშესაწყობად გრანტების, შემოწირულობათა ან/და ქონების უანგარო გაცემა, ან ბიზნეს ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული მოხალისეობა (თანამშრომელთა ნებაყოფლობითი მონაწილეობით) ფილანთროპიული საქმიანობის ან სოციალური პარტნიორობის განხორციელების მიზნით.

**ი) კორპორაციული ქველმოქმედება** - ბიზნეს ორგანიზაციის მიერ უშუალოდ, ან მის მიერ საამისოდ დაფუძნებული ფონდის საშუალებით, საქველმოქმედო საქმიანობის ხელშესაწყობად გრანტების, შემოწირულობათა ან/და ქონების უანგარო გაცემა, ან ბიზნეს ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული მოხალისეობა (თანამშრომელთა ნებაყოფლობითი მონაწილეობით) საქველმოქმედო საქმიანობის ან სოციალური პარტნიორობის განხორციელების მიზნით.

**კ) სოციალური მეწარმეობა** - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის დამხმარე ეკონომიკური საქმიანობა, რომლის მოგება ორგანიზაციის წესდებით გაცხადებული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, ორგანიზაციის ფილანთროპიულ ან/და საქველმოქმედო საქმიანობას ხმარდება.

**ლ) სპონსორობა** - ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ სხვა ფიზიკური პირის ან/და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის საქმიანობაში წვლილის შეტანა (ფულადი სახსრების, ქონების, ინტელექტუალური მოღვაწეობის შედეგების, მომსახურების გაწევისა ან/და სხვა სახით) სპონსორის საქმიანობის რეკლამის გავრცელების პირობით ან აღნიშნულის გარეშე.

**მ) მეცენატობა** - ფიზიკური პირის მიერ სხვა ფიზიკური პირის მხარდაჭერა, ფულადი სახსრების ან ქონების უანგარო გაცემით, მისი განათლებისა და განვითარების მიზნით.

**ნ) ბიზნეს ორგანიზაციები** - „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი სამეწარმეო სუბიექტი ან/და მისი ფილიალი, აგრეთვე საქართველოში კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ უცხო ქვეყნის სამეწარმეო (კომერციული) იურიდიული პირის წარმომადგენლობა (ფილიალი).

**ო) ფონდი** - საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან/და მისი ფილიალი, რომლის საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ფულადი სახსრების მოძიება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე უცხოეთის ქვეყნებში, და ფულადი სახსრების ან/და ქონების შემდგომი გაცემა გრანტის სახით ფილანთროპიული ან/და საქველმოქმედო მიზნებისთვის.

**პ) სათემო ფონდი** - წევრობაზე დაფუძნებული ფონდი, რომლის ძირითადი მიზანია სოციალური, ეკონომიკური და დემოკრატიული განვითარების უზრუნველყოფა ადგილობრივ, სათემო დონეზე და რომელიც, თავისი ფილანთროპიული ან/და საქველმოქმედო საქმიანობისათვის დახმარებას იღებს იმ თემისგან, რომლის სასარგებლოდაც ძირითადად საქმიანობს, ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოსგან.

2. მოხალისეობის ცნება და მოხალისეობასთან დაკავშირებული საკითხები განისაზღვრება „მოხალისეობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

3. ამ კანონში მოცემული სხვა ცნებები და ტერმინები, თუ არ არის სპეციალური მითითება, გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მნიშვნელობით.

## **მუხლი 5. ფილანთროპიის, ფილანთროპიული საქმიანობის, ქველმოქმედებისა და საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტები და განხორციელების ფორმები**

1. ამ კანონის შესაბამისად ფილანთროპიას და ქველმოქმედებას შეიძლება ახორციელებდნენ ფიზიკური პირები, ფონდები და სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციები, ბიზნეს ორგანიზაციები.

2. ამ კანონის მიხედვით, ფილანთროპიულ და საქველმოქმედო საქმიანობას შეიძლება ახორციელებდნენ სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნეს ორგანიზაციები, რომლებიც ამ კანონის შესაბამისად, აღიარებული არიან ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტებად.

3. ამ კანონის შესაბამისად, ფილანთროპია ან/და ქველმოქმედება შესაძლებელია განხორციელდეს გრანტის გაცემის, შემოწირულობის, მოხალისეობის, სპონსორობის (სპონსორის საქმიანობის რეკლამის გავრცელების პირობის გარეშე), მეცენატობის, სოციალური მეწარმეობიდან მიღებული შემოსავლის გამოყენების და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფორმით.

4. ამ კანონის შესაბამისად, ფილანთროპიული ან/და საქველმოქმედო საქმიანობა შესაძლებელია განხორციელდეს პროექტების, აქციების, კამპანიების, ადვოკატირების, დახმარების გაწევის ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფორმით.

5. ამ კანონის შესაბამისად, ფილანთროპიას და ქველმოქმედებას, ფილანთროპიულ და საქველმოქმედო საქმიანობას არ მიეკუთვნება, თუ აღნიშნული საქმიანობა განხორციელებულია ფიზიკური პირის მიერ საკუთარი ოჯახის წევრების ან/და ახლო ნათესავებისათვის ან იურიდიული პირის მიერ მისი ხელმძღვანელი პირის (პირების) ან/და მმართველი,

სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო და საკონსულტაციო ორგანოს წევრების ან/და მათი ოჯახის წევრებისა და ახლო ნათესავებისათვის. ამ პუნქტის მიზნებისათვის ოჯახის წევრსა და ახლო ნათესავს მიკუთვნებულ პირთა წრე განისაზღვრება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად.

6. ამ კანონის შესაბამისად, აღიარებული ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების საქმიანობაზე ვრცელდება ამ კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული სტიმულირების მექანიზმები.

## **მუხლი 6. საზოგადოებრივი პარტნიორობის განმახორციელებელი სუბიექტები და პარტნიორობის განხორციელების ფორმები**

1. ამ კანონის შესაბამისად, საზოგადოებრივი პარტნიორობა (შემდგომ - პარტნიორობა) ხორციელდება ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობის მხარდაჭერის, განვითარებისა და წახალისების მიზნით. პარტნიორობა შესაბამისი სუბიექტების მიერ შესაძლებელია განხორციელდეს ამ კანონის მე-7 მუხლით გათვალისწინებულ სფეროებში და პარტნიორობისას გამოიყენება ფილანთროპიის, ფილანთროპიული საქმიანობის, ქველმოქმედებისა და საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელების ფორმები, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ურთიერთთანამშრომლობის სხვა ფორმები.

2. ამ კანონის შესაბამისად, საზოგადოებრივი პარტნიორობის მონაწილე სუბიექტები შეიძლება იყვნენ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ბიზნეს ორგანიზაციები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, მათ შორის განათლების, კულტურის, მედიცინის, სპორტის და სხვა სფეროებში მოქმედი ორგანიზაციები და დაწესებულებები, მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა.

3. საზოგადოებრივ პარტნიორობაში ადგილობრივი თვითმმართველობის (მუნიციპალიტეტის) ორგანოები მონაწილეობენ და შესაბამის ღონისძიებებს ახორციელებენ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

## **მუხლი 7. ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობების განხორციელების სფეროები**

1. ამ კანონის შესაბამისად, ფილანთროპია და ფილანთროპიული საქმიანობა შესაძლებელია განხორციელდეს შემდეგ სფეროებში:

- ა) ადამიანის უფლებების დაცვისა და უფლებების რეალიზაციის ხელშეწყობის სფეროში;
- ბ) ქალთა უფლებების დაცვისა და უფლებების რეალიზაციის ხელშეწყობის სფეროში;
- გ) ბავშვთა უფლებების დაცვისა და უფლებების რეალიზაციის ხელშეწყობის სფეროში;

დ) უმცირესობების უფლებების დაცვისა და ქსენოფობიის დასაძლევად მიმართული საქმიანობის სფეროში;

ე) დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობის სფეროში;

ვ) ცნობიერების დონის ამაღლებისა და სამოქალაქო განათლების უზრუნველყოფის ხელშეწყობის სფეროში;

ზ) დემოკრატიული და ინსტიტუციური რეფორმებისა და საზოგადოების განვითარების ხელშეწყობის სფეროში;

თ) სიღარიბის აღმოფხვრის, სოციალური მობილიზაციის, დასაქმებისა და სოციალური დაცვის სისტემის უზრუნველყოფის სფეროში;

ი) მშვიდობის შენარჩუნებისა და კონფლიქტების მოგვარებასთან დაკავშირებული სამოქალაქო ინიციატივების განვითარების სფეროში;

კ) ჯანმრთელობის დაცვისა და დაავადებათა პრევენციის სფეროში;

ლ) ნარკომანიის მკურნალობისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობის სფეროში;

მ) პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში (პენიტენციური დაწესებულებებში) მყოფი პირების მოვლის, რეაბილიტაციის, რესოციალიზაციისა და სამედიცინო მომსახურების პირობების გაუმჯობესების სფეროში;

ნ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალური და სამართლებრივი დაცვის და რეაბილიტაციის სფეროში;

ო) იძულებით გადაადგილებული პირების, ლტოლვილთა და თავშესაფრის მაძიებელთა დაცვისა და რეაბილიტაციის სფეროში;

პ) ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შედეგად დაზარალებული ადამიანების დაცვის და რეაბილიტაცია-რეინტეგრაციის სფეროში;

ჟ) ძალადობასთან ბრძოლის, ტოლერანტობის, არაძალადობრივი ცნობიერების დანერგვის სფეროში;

რ) ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების, ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული ადამიანების (მსხვერპლების) სოციალური და სამართლებრივი დაცვის და რეაბილიტაციის სფეროში;

ს) გარემოს დაცვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების, სურსათის უვნებლობისა და უსაფრთხოების სფეროში, აგრეთვე მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში;

ტ) კულტურის, ხელოვნების, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში;

უ) განათლების, სწავლების, ცოდნის მიღებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის (მათ შორის ქვეყნის ფარგლებს გარეთ უმაღლესი და სპეციალური განათლების მიღების ხელშეწყობის), მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების განხორციელების სფეროში;

ფ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვის (ფიქსაციის, კონსერვაციისა და რესტავრაციის) სფეროში;

ქ) სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადების, ლობისტური საქმიანობის განხორციელების, საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი აქტების შესრულების მონიტორინგის სფეროში;

დ) სოციალური სისტემის ცვლილება-გაუმჯობესების სფეროში, იმ შემთხვევაში, როცა არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფს სოციალურ სამართლიანობას;

ე) რელიგიური ორგანიზაციების ფილანთროპიული საქმიანობის მხარდაჭერის სფეროში;

შ) ახალი ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობისა და ინოვაციური პროექტების განხორციელების სფეროში;

ჩ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ საზოგადოებრივი ურთიერთობის სხვა სფეროში.

2. ამ კანონის შესაბამისად, ქველმოქმედება და საქველმოქმედო საქმიანობა შესაძლებელია განხორციელდეს:

ა) დახმარების გაწევით იმ ფიზიკური პირებისათვის, რომლებიც საჭიროებენ სოციალურ დაცვას, სამედიცინო დახმარებას, აგრეთვე ხელმოკლე ფიზიკური პირებისათვის, მათ შორის: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის, ხანდაზმულთათვის, ობოლი ბავშვებისათვის, ძალადობის მსხვერპლთათვის, მარჩენალდაკარგულებისათვის, იძულებით გადაადგილებული პირებისათვის, ლტოლვილებისა და თავშესაფრის მაძიებელი ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებისთვის, ავადმყოფებისათვის, მრავალშვილიანი ოჯახებისა და მათი წევრებისათვის, ომების, შეიარაღებული კონფლიქტების, ავარიების, სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, ეპიდემიების ან/და ეპიზოოტიების შედეგად დაზარალებულებისათვის;

ბ) დახმარების გაწევით ბავშვთა, ხანდაზმულთა და ინვალიდთა მომვლელი ან მომსახურე ორგანიზაციებისათვის, მათ შორის: ბავშვთა სახლებისათვის, სკოლა-ინტერნატებისათვის, ინტერნატებისათვის, სკოლამდელი და სხვა საბავშვო დაწესებულებებისათვის, ხანდაზმულთა სახლებისათვის, უფასო სასადილოებისათვის, სამედიცინო დაწესებულებებისათვის, სარეაბილიტაციო ცენტრებისათვის;

გ) რელიგიური ორგანიზაციების საქველმოქმედო საქმიანობის მხარდაჭერის სფეროში;

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ საზოგადოებრივი ურთიერთობის სხვა სფეროში.

## **მუხლი 8. პარტნიორობაში მონაწილე სუბიექტების უფლებები და მოვალეობები**

1. პარტნიორობაში მონაწილეობისათვის სახელმწიფო (საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრული წესით, აგრეთვე მუნიციპალიტეტი) მისი უფლებამოსილი ორგანოების მეშვეობით:

ა) უზრუნველყოფს საზოგადოებრივი პარტნიორობის, ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელებისათვის ხელშეწყობი სამართლებრივი საფუძვლებისა და შესაბამისი პოლიტიკის განსაზღვრას (ფორმირებას).

ბ) ხელს უწყობს და ქმნის სათანადო პირობებს საზოგადოებრივი პარტნიორობის მიზნისა და ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობის ეფექტური განხორციელებისათვის;

გ) უფლებამოსილია საზოგადოებრივი პარტნიორობის, ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობის მიზნების მისაღწევად, კანონმდებლობით დადგენილი წესით

განახორციელოს პროექტების დაფინანსება (თანადაფინანსება) ან/და მატერიალურ-ტექნიკურ ან/და საკონსულტაციო მხარდაჭერა გაუწიოს მსგავს პროექტებს;

დ) უფლებამოსილია უზრუნველყოს (მათ შორის საკუთარი დაფინანსებით) სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის მიერ ფილანთროპიული ან/და საქველმოქმედო საქმიანობით მიღწეული შედეგების შენარჩუნება, განვითარება და ინსტიტუციონალიზაცია.

ე) ახორციელებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს საზოგადოებრივი პარტნიორობის, ფილანთროპიისა და ქველმოქმედების მიზნების განსახორციელებლად.

2. პარტნიორობაში მონაწილეობისათვის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები:

ა) თანამშრომლობენ პარტნიორობაში მონაწილე სხვა სუბიექტებთან და ერთმანეთთან;

ბ) ხელს უწყობენ საზოგადოებრივი პარტნიორობის სისტემის დანერგვასა და განვითარებას, საზოგადოებრივი პარტნიორობის თაობაზე ცნობიერების ამაღლებას;

გ) ახორციელებენ კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს საზოგადოებრივი პარტნიორობის, ფილანთროპიისა და ქველმოქმედების, ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობის განსახორციელებლად.

3. პარტნიორობაში მონაწილეობისათვის, ბიზნეს ორგანიზაციები:

ა) მონაწილეობენ საზოგადოებრივ პარტნიორობაში ფილანთროპიისა და ქველმოქმედების მიზნით, ახორციელებენ ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობას;

ბ) უფლებამოსილი არიან ფინანსურ-მატერიალური რესურსები გასცენ, აგრეთვე მხარდაჭერა გაუწიონ ფიზიკურ პირებს, სამოქალაქო საზოგადოებისა და სხვა ორგანიზაციებს, მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, მათი ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობის მხარდასაჭერად;

გ) უფლებამოსილი არიან შეიმუშავონ და განახორციელონ თავიანთი ორგანიზაციის ფილანთროპიული ან/და საქველმოქმედო პოლიტიკა და სტრატეგია.

დ) უზრუნველყოფენ კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელებას პარტნიორობის, ფილანთროპიისა და ქველმოქმედების მიზნების მისაღწევად.

## **მუხლი 9. პარტნიორობასთან, ფილანთროპიულ და საქველმოქმედო საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური საკითხები**

1. პარტნიორობის, ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:

ა) საქართველოს სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) ბიზნეს ორგანიზაციის მიერ გაცემული მიზნობრივი სახსრები;

გ) „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით დონორი ორგანიზაციების მიერ გაცემული გრანტები;

დ) სოციალური მეწარმეობისგან მიღებული შემოსავლები;



ე) საჩუქრად, საწევროებისა და შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავლები და ქონება;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

4. პარტნიორობის მონაწილე სუბიექტი უფლებამოსილია პარტნიორობასთან დაკავშირებულ ფილანთროპიულ და საქველმოქმედო საქმიანობაზე ფინანსური ან/და სხვა რესურსები გასცეს უშუალოდ ფილანთროპიული ან/და საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტებზე ან/და უზრუნველყოს ფინანსური რესურსების გაცემა საჯარო კონკურსის საფუძველზე.

5. პარტნიორობასთან დაკავშირებულ პროექტებზე ფინანსური რესურსების გამცემი სუბიექტი უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მონიტორინგი გაუწიოს მის მიერ გაცემული ფინანსური რესურსების მიზნობრივ ხარჯვას.

## **მუხლი 10. სტიმულირების მექანიზმები**

1. ფილანთროპიულ და საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების წახალისების, ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობის განვითარებისა და პარტნიორობის სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით ამ კანონით, საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტით განისაზღვრება სტიმულირების მექანიზმები.

2. სტიმულირების მექანიზმები გულისხმობს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შესაბამისი სუბიექტების საქმიანობაზე საგადასახადო შეღავათების გავრცელებას, ამ საქმიანობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის ხელშეწყობასა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მექანიზმების გამოყენებას.

3. ფილანთროპიული ან/და საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების მოგება, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული მოგების გარდა, თავისუფლდება მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან.

4. საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ფილანთროპიული ან/და საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების მიერ ფილანთროპიული ან/და საქველმოქმედო საქმიანობის (ღონისძიებების) შედეგად მიღებული თანხების გადაცემა შემდეგი ფიზიკური პირებისათვის: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დადგენილი წესით რეგისტრირებული პირისათვის; შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისათვის; მარტოხელა და მრავალშვილიანი დედისათვის; ობოლი და მარჩენალდაკარგული პირისათვის, ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირისათვის, იძულებით გადაადგილებული პირისათვის, სტიქიური უბედურების, ავარიების, კატასტროფების, ეპიდემიების ან/და ეპიზოოტიების, ომისა და შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად დაზარალებული პირისათვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დასახიჩრებული პირისათვის, საქართველოს ტერიტორიული

მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპული პირის ოჯახის წევრისათვის, მძიმე და ქრონიკური დაავადებების მქონე პირისათვის.

5. ფილანთროპიული ან/და საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტის მიერ, ამ მუხლის მე-4 პუნქტში მითითებულ ფიზიკურ პირებზე, მეურნეობის განვითარებისა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფისათვის შემოსავლის მომტანი (ეკონომიკური საქმიანობის) საქმიანობის დაწყებისათვის, ერთჯერადად გადაცემული ფულადი თანხა, არაუმეტეს 5000 ლარის ოდენობით, თავისუფლდება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან.

6. სოციალური მეწარმეობის განმახორციელებელი სუბიექტის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლიდან სრულად გამოიქვითება საქველმოქმედო ან/და ფილანთროპიული საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტებზე გაცემული თანხები ან/და ქველმოქმედების ან/და ფილანთროპიის მიზნით გაწეული ხარჯები.

7. საქველმოქმედო ან/და ფილანთროპიული საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლიდან სრულად გამოიქვითება საქველმოქმედო ან/და ფილანთროპიული საქმიანობის განხორციელების მიზნით გაწეული დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯები.

8. ფილანთროპიული ან/და საქველმოქმედო საქმიანობის მიზნით სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით მიღებულ შემოწირულობასთან დაკავშირებული სატელეფონო მომსახურება თავისუფლდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან.

### **მუხლი 11. ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების აღიარება (სტატუსის მინიჭება)**

1. ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და ბიზნეს ორგანიზაციების სტიმულირების, ამ კანონის შესაბამისად მათი საქმიანობის რეგულირებისა და საჯაროობის მიზნით ხორციელდება აღნიშნული სუბიექტების აღიარება - სტატუსის მინიჭება (შემდგომ - „აღიარება“).

2. აღიარება გულისხმობს შესაბამისი სუბიექტების თაობაზე მონაცემების ერთიან და საჯარო რეესტრში შეტანას. ამ კანონის შესაბამისად აღიარებას ექვემდებარება სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნეს ორგანიზაციები. სუბიექტების აღიარებასა და შესაბამისი რეესტრის წარმოებას უზრუნველყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური.

3. აღიარების მიზნით შესაბამისი სუბიექტი განცხადებით მიმართავს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს. განცხადება შესაძლებელია წარდგენილი იქნეს როგორც ელექტრონული, ისე წერილობითი ფორმით.

4. განცხადებაში უნდა მიეთითოს შესაბამისი ორგანიზაციის:

ა) სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, საიდენტიფიკაციო ნომერი, იურიდიული მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია;

ბ) საწესდებო მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები;

გ) წარმომადგენლობაზე ან/და ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი (პირები), მათი მონაცემები და საკონტაქტო ინფორმაცია;

5. განცხადებას უნდა დაერთოს:

ა) ორგანიზაციის წესდების ასლი;

ბ) სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

გ) წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დ) ბოლო 5 წლის საქმიანობის ანგარიში, რომელიც უნდა შეიცავდეს საქმიანობისა და მიღწეული შედეგების აღწერას;

ე) ბოლო 5 წლის ფინანსური ანგარიში და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6. განცხადებისა და ამ მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების სრულად წარდგენის საფუძველზე შესაბამისი სუბიექტი შეიტანება ერთიან რეესტრში, რითაც განხორციელდება მისი ფილანთროპიული ან/და საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელ სუბიექტად აღიარება.

7. ერთიან რეესტრში შეტანილი სუბიექტი ვალდებულია შესაბამის საგადასახადო ორგანოს ყოველი წლის 1 აპრილამდე წარუდგინოს:

ა) ბოლო წლის საქმიანობის ანგარიში, რომელიც უნდა შეიცავდეს ფილანთროპიული ან/და საქველმოქმედო საქმიანობის და მიღწეული შედეგების აღწერას;

ბ) ფინანსური ანგარიში ფილანთროპიული ან/და საქველმოქმედო საქმიანობის მიზნით მიღებული შემოსავლების შესახებ, წყაროებისა და გაწეული ხარჯების მითითებით და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

8. სუბიექტების აღიარების გაუქმება და შესაბამისი სუბიექტის რეესტრიდან ამორიცხვა ხდება:

ა) სუბიექტის განცხადების საფუძველზე;

ბ) თუ შესაბამისი სუბიექტის მიერ ორი თანმიმდევრული წლის განმავლობაში რეესტრში წარმოდგენილი არ ყოფილა მის მიერ განხორციელებული ფილანთროპიული ან/და საქველმოქმედო საქმიანობის თაობაზე ანგარიში;

გ) თუ შესაბამისი სუბიექტის მიერ დარღვეული იქნა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები ან/და ანგარიშგების მიზნით წარდგენილი იქნა ყალბი და არაზუსტი ინფორმაცია და მონაცემები;

დ) შესაბამისი სუბიექტის სახელმწიფო რეგისტრაციის გაუქმებისას;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური აწარმოებს სუბიექტების ერთიან რეესტრს. რეესტრში შეიტანება სუბიექტის თაობაზე ამ მუხლის მე-4, მე-5 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია და მონაცემები.

10. სუბიექტების ერთიან რეესტრში შეტანილი ნებისმიერი მონაცემის ცვლილების შემთხვევაში შესაბამისი სუბიექტი ვალდებულია ცვლილებისთანავე ელექტრონულად ან წერილობით აცნობოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს შესაბამისი ცვლილების შესახებ.

11. ერთიანი რეესტრი, ასევე შესაბამისი სუბიექტების მიერ წარდგენილი ანგარიშები (მათ შორის განზოგადებული ფინანსური ანგარიში) საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.

12. დაუშვებელია აღიარებული სამოქალაქო საზოგადოების სუბიექტის მოგებისა და აქტივების განაწილება ორგანიზაციის წევრებს, დამფუძნებლებს, გამგეობისა და კურატორიუმის წევრებს შორის. მსგავსი სუბიექტის ლიკვიდაციის შემდეგ მისი ქონება უფლებამოსილი ორგანოს ან პირის გადაწყვეტილებით გადაეცემა მსგავსი მიზნების მქონე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში – სამოქალაქო საზოგადოების სხვა ორგანიზაციას, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი აღიარებული ფილანთროპიულ ან/და საქველმოქმედო ორგანიზაციად. აღიარებული სუბიექტის სტატუსის მქონე, სახელმწიფო ქონების საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში.

13. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო უზრუნველყოფს ერთიანი რეესტრისა და შესაბამისი სუბიექტების მიერ წარდგენილი ანგარიშების ელექტრონულ წარმოებას და მათ განთავსებას სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

## **მუხლი 12. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები**

1. ამ კანონის ამოქმედებიდან ექვსი თვის ვადაში საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ უზრუნველყოს ფილანთროპიული და საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტის რეესტრის ფორმის, მისი წარმოებისა და საჯაროობის წესის დამტკიცება და უზრუნველყოს აღნიშნული რეესტრის ფუნქციონირებისათვის შესაბამისი ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება.

2. ეთხოვოს საქართველოს მთავრობას 2017 წლის 1 იანვრამდე საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებების პროექტი (პროექტები), რომელიც გაითვალისწინებს ამ კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტში მითითებულ სფეროში ფილანთროპიული ან/და საქველმოქმედო საქმიანობის განმახორციელებელი შესაბამისი სუბიექტისათვის დამატებით სტიმულირების (მათ შორის საგადასახადო შეღავათის) მექანიზმებს.

## **მუხლი 13. კანონის ამოქმედება**

1. ეს კანონი, გარდა მე-10 და მე-11 მუხლებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

2. ამ კანონის მე-10 მუხლი, ამოქმედდეს 2017 წლის 1 მარტიდან.

3. ამ კანონის მე-11 მუხლი ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.